საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/14

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის 2¹ მუხლის მე-4 პუნქტისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების (ოქმი N 21) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**